

სს ლილო 1

ფინანსური ანგარიშგებები

*2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად.*

სს ლილო 1

ფინანსური ანგარიშგებები

2017 წ. 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგებები

სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	6
ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები	7-23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს ლილო 1-ის აქციონერებს და ხელმძღვანელობას.

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სს ლილო 1“-ის (შემდგომში- „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგებები ყველა არსებითი თვალსაზრისით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულად ნაკადებს ამ თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტების მიხედვით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები აღწერილია ჩვენი ანგარიშის ნაწილში - *აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*. ჩვენ კომპანიისგან დამოუკიდებელნი ვართ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს *პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის (IESBA კოდექსი)* შესაბამისად და ვასრულებთ ჩვენს სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებს IESBA კოდექსის შესაბამისად. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და სათანადო საფუძველს წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიანად წარმოდგენაზე, და ისეთ შიდა კონტროლზე, როგორც ამას აუცილებლად ჩათვლის ხელმძღვანელობა ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად, რომელშიც არ იქნება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული მნიშვნელოვანი ცდომილებები.

ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, გააძლავნოს საქმიანობის გაგრძელებასთან დაკავშირებული საკითხები და გამოიყენოს საქმიანობის უწყვეტობის აღრიცხვის პრინციპი, სანამ ხელმძღვანელობა არ გადაწყვეტს ჯგუფის ლიკვიდაციას ან არ შეწყვეტს ოპერაციებს, ან არ აქვს ამგვარი მოქმედების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგებები მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორის დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლებელია წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდეს, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გონივრულ ფარგლებში გავლენა მოახდინოს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების

საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთანავე ჩვენ:

ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტური პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტური მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მიზანშეწონილია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების გაუმჟღავნებლობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.

- ▶ ვიღებთ ინფორმაციას აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების შესახებ არსებული ვითარების შესაბამისი აუდიტური პროცედურების დასაგეგმად და არა ჯგუფის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ მოსაზრების გამოსახატავად.
- ▶ ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- ▶ გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ საქმიანობის უწყვეტობის აღრიცხვის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტური მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებთან და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლებელია ექვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი დასკვნების შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტურ მტკიცებულებებს. ამასთან მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, სამართლიანად წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს..

სხვა საკითხებთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტური მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.



Sps finansuri mmartvis jgufi
doliZis q. 2
Tbilisi, saqarTvelo tel.:
(995) (32) 236 33 11 faqsi:
(995) (32) 236 44 55 el-
fosta: info@fmg.ge

**FINANCIAL MANAGEMENT GROUP
LTD**
2 Dolidze Str.
Tbilisi, Georgia
tel.: (995) (32) 236 33 11
fax: (995) (32) 236 44 55
e-mail: info@fmg.ge

ფინანსური მართვის ჯგუფი

22 ივნისი, 2018

სს ლილო 1
სრული შემოსავლის ანგარიშგება
2017 წ. 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ლარში

	შენიშვნა	2017	2016
გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი		5 507 228	5 104 128
ცვეთა და ამორტიზაცია		-1 559 348	-1 604 965
კომუნალური ხარჯები		-458 832	-431 438
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა ანაზღაურე		-1 553 980	-1 691 275
მიწის და ქონების გადასახადი		-230 926	-243 755
უიმედო ვალი		-52 943	-144 350
სხვა ხარჯები	11	-516 535	-563 831
საოპერაციო შემოსავალი		1 134 663	424 514
შემოსავალი ფიქსირებული აქტივების გაყიდვიდან		187	19 600
სხვა შემოსავალი		1 891	
ფინანსური შემოსავალი		11 090	5 896
ფინანსური ხარჯები		-1 226 660	-1 383 560
სხვა ხარჯები		-55 119	-905
საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი, წმინდა		480 686	-1 917 276
ზარალი მოგების გადასახადამდე		346 738	-2 851 731
მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)		-	2 930 098
წმინდა ზარალი წლის განმავლობაში		346 738	78 367

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2018 წლის 22 ივნისს და ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თანდართული შენიშვნები 7-23 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

სს ლილო 1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ლარში

	შენიშვნა	2017	2016
აქტივები			
არამიმდინარე აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	29 741 581	31 055 202
არამატერიალური აქტივები		96 199	83 334
სულ არამიმდინარე აქტივები		29 837 780	31 138 536
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		162 472	151 609
გადახდილი ავანსები		17 476	22 129
დებიტორული დავალიანებები		659 207	552 578
სხვა მიმდინარე აქტივები		57 274	66 881
ფული და ფულის ექვივალენტები	7	589 664	10 412
სულ მიმდინარე აქტივები		1 486 094	803 608
სულ აქტივები		31 323 873	31 942 144
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
გამოშვებული კაპიტალი	8	15 777 000	15 777 000
სხვა კაპიტალის რეზერვები	8	11 732 454	11 732 454
მიმდინარე პერიოდის მოგება / ზარალი		351 667	78 367
დაგროვებული ზარალი	8	-16 976 894	-17 055 261
სულ კაპიტალი		10 884 227	10 532 560
არამიმდინარე ვალდებულებები			
პროცენტის სესხები	9	14 258 908	15 807 904
სულ არამიმდინარე ვალდებულებები		14 258 908	15 807 904
მიმდინარე ვალდებულებები			
პროცენტის სესხები	9	4 929	59 697
გადასახდელი პროცენტი		5 870 732	5 069 304
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		5 452	71 887
მირებული ავანსები		154 637	223 823
კრედიტორული დავალიანებები		149 918	176 969
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6 185 668	5 601 681
სულ ვალდებულებები		20 444 576	21 409 585
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		31 323 873	31 942 145

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2018 წლის 22 ივნისს და ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თანდართული შენიშვნები 7-23 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს..

JSC LILO 1
სს ლილო 1
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2017 წ. 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ლარში

	გამოშვებული კაპიტალი	სხვა კაპიტალის რეზერვები	დაგროვებული ზარალი	სულ
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბერს	15 777 000	11 732 454	-17 055 261	10 454 193
სულ მოგება/ზარალი წლის განმავ			78 367	78 367
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	15 777 000	11 732 454	-16 976 894	10 532 560
სულ მოგება/ზარალი წლის განმავ			346 738	351 667
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	15 777 000	11 732 454	-16 630 156	10 879 298

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2018 წლის 22 ივნისს და ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

JSC LILO 1
სს ლილო 1
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
პირდაპირი მეთოდი
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ლარში

	შენიშვნა	2017	2016
საოპერაციო საქმიანობები			
მყიდველებისა და გამყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები		6 264 371	5 851 103
სხვა შემოსავლები საოპერაციო საქმიანობიდან		8 652	1 225
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები		-1 182 560	-1 052 874
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა ანაზღაურება		-1 179 587	-1 255 232
გადახდილი აგდასახადები (მოგების გადასახადის გარდა)		-1 445 386	-1 345 565
გადახდილი მოგების გადასახადი			
სხვა გადახდები		-24 699	-104 150
საოპერაციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		2 440 790	2 094 507
საინვესტიციო საქმიანობები			
გადახდები ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით		-279 736	-436 768
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		-279 736	-436 768
ფინანსური საქმიანობები			
შემოსავლები პროცენტური სესხებიდან		4 265 046	391 541
პროცენტური სესხების დაფარვა		-5 525 678	-1 633 389
მიღებული პროცენტი		2	1 230
გადახდილი პროცენტი		-353 063	-429 328
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან		-1 613 692	-1 669 946
ფულის და ფულის ექვივალენტების წმინდა (კლება)/ზრდა		547 362	-12 208
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში		10 412	22 619
წმინდა საკურსო სხვაობა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		31 890	
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს		589 665	10 412

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2018 წლის 22 ივნისს და ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

JSC LILO 1

Notes to the financial statements

In Georgian Lari

სს ლილო 1

ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები

ლარში

1. კორპორატიული ინფორმაცია

სს ლილო 1 („კომპანია“) არის საქართველოში რეგისტრირებული და მდებარე სააქციო საზოგადოება. კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, იუმაშევის ქუჩა #14.

კომპანია შეიქმნა 2006 წლის 28 დეკემბერს, როგორც სააქციო საზოგადოება (სს). Linnaeus Capital Partners B.V. ფლობს კომპანიის აქციების 100%-ს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საწყობების იჯარით გაცემა. კომპანიის ძირითადი აქტივი თბილისში (საქართველო) განთავსებულია.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული აქციონერთა მიერ. აქციონერებს უფლება აქვთ შეიტანონ ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებებში გამოშვების შემდეგ.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია თვდაპირველი ღირებულებების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში (GEL) თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

3. არსებობის პერსპექტივა

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები აღემატება მის მიმდინარე აქტივებს 4,694,645 ლარით. ეს გარემოება იწვევს საკითხის დაყენებას კომპანიის შესაძლებლობასთან დაკავშირებით გააგრძელოს საქმიანობა. ხელმძღვანელობის აზრით მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგებები მომზადდეს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანია გააგრძელებს საქმიანობას და მოიპოვებს საჭირო სახსრებს; მოახდენს თავისი აქტივების რეალიზებას და შეასრულებს თავის ვალდებულებებს საქმიანობის ჩვეულებრივ რეჟიმში. .

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია იმ პრინციპის საფუძველზე, რომ კომპანია გააგრძელებს საქმიანობას და აქვს არსებობის პერსპექტივა და მოახდენს თავისი აქტივების რეალიზებას და შეასრულებს თავის ვალდებულებებს საქმიანობის ჩვეულებრივ რეჟიმში.

Notes to the financial statements

In Georgian Lari

სს ლილო 1

ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები

ლარში

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

(ა) უცხოური ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტა არის ლარი, რადგან ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ოპერირებს.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად აღირიცხება კომპანიის მიერ ტრანზაქციის დღეს მოქმედი ფუნქციონალური ვალუტის კურსის მიხედვით.

უცხოურ ვალუტებში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ანგარიშგების დღეს მოქმედი ფუნქციონალური ვალუტის სპოტ-კურსით.

ყველა სხვაობა ასახულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არაფულადი ერთეულები, რომლებიც ასახულია თავდაპირველი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია თავდაპირველი ტრანზაქციების თარიღებისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით.

(ბ) მიმდინარე და არამიმდინარე კლასიფიკაცია

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მიმდინარე / არამიმდინარე კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი არის მიმდინარე, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზაცია ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოხმარებისთვის ჩვეულებრივ სამუშაო ციკლში;
- ▶ ძირითადად ფლობილია სავაჭრო მიზნებისთვის;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზაცია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ არის ფული ან ფულის ექვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ შეზღუდულია გაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დაფარვისთვის ანგარიშგების პერიოდიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირებულია არამიმდინარე აქტივად.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ ის დაიფარება ჩვეულებრივ სამუშაო რეჟიმში;
 - ▶ ძირითადად ფლობილია სავაჭრო მიზნებისთვის;
 - ▶ მისი დაფარვის ვადა დადგება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ არ არსებობს უპირობო უფლება ვალდებულების დაფარვის გადავადებასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში;.

კომპანია ყველა სხვა ვალდებულების კლასიფიკაციას ახდენს არამიმდინარე ვალდებულებებად.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია არამიმდინარე აქტივებად და ვალდებულებებად.

Notes to the financial statements

In Georgian Lari

სს ლილო 1

ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები

ლარში

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის კონტრაქტი, რომელიც რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(ი) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია, თავდაპირველი აღიარებით, როგორც ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, სესხებსა და დებიტორულ დავალიანებებში, ვადამდე ფლობილ ინვესტიციებში, გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებში ან როგორც წარმოებულები, რომელიც განსაზღვრულია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტურ ჰეჯირებაში, საჭიროების შემთხვევაში. ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში, ამას ემატება ფინანსური აქტივის შეძენასთან დაკავშირებული გარიგების ხარჯები.

ფინანსური აქტივების შესყიდვა ან გაყიდვა, რომელიც მოითხოვს აქტივების მიწოდებას კანონმდებლობით ან ბაზარზე მიღებული წესით დადგენილ ვადაში (სტანდარტული სავაჭრო პროცედურა) აღიარებულია სავაჭრო დღეს, რომელიც არის დღე, როდესაც კომპანია იღებს პასუხისმგებლობას იყიდოს ან გაყიდოს აქტივი.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელსაც კომპანია ფლობს 2016 და 2017 წლის 31 დეკემბერს კლასიფიცირებულია სესხებად და დებიტორულ დავალიანებად და შემოიფარგლება ფულით და ფულის ექვივალენტებით და დებიტორული დავალიანებებით.

შემდგომი შეფასება დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კლასიფიკაციაზე.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან შესაბამის შემთხვევაში ფინანსური აქტივის ნაწილი ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილი) აღიარების შეწყვეტა ხდება (ე.ი. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) როდესაც:

- ▶ ამოიწურება აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან
- ▶ კომპანია აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებებს გადასცემს ამ იკისრებს ვალდებულებას სრულად და არსებითი შეფერხების გარეშე გადაუხადოს მიღებული ფულადი სახსრები მესამე მხარეს „გადაცემის“ შეთანხმების საფუძველზე; და ან (ა) კომპანია აქტივის არსებითად ყველა რისკს და სარგებელს გადასცემს, ან (ბ) კომპანია აქტივის არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს არც გადასცემს და არც დაიტოვებს, თუმცა გადასცემს აქტივზე კონტროლს.

Notes to the financial statements

In Georgian Lari

სს ლილო 1

ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები

ლარში

4. მნიშვნელოვანი საანგარიშგებო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) ფინანსური ინსტრუმენტები

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა გადაცემის შესახებ ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. იმ შემთხვევაში თუ არ მომხდარა რისკებისა და სარგებლის, აქტივზე კონტროლის არც გადაცემა და არც შენარჩუნება, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება შემდგომი გამოყენების პირობით. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ შენარჩუნებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

გაუფასურება

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად განიხილება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ („ზარალის დადგომის შემთხვევა“) და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მომავალში მოსალოდნელ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ დებიტორი ან დებიტორთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულებას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორიცაა ცვლილებები ვადაგადაცილებული გადახდების დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებსაც უკავშირდება ვალდებულებების შეუსრულებლობას.

კომპანია აფასებს თითოეული ფინანსური აქტივის გაუფასურებაზე ინდივიდუალურ საფუძველზე.

სესხები შესაბამისი რეზერვებთან ერთად ჩამოიწერება თუ არ არსებობს მათი დაფარვის რეალური პერსპექტივა მომავალში და ყველა უზრუნველყოფა რეალიზებულ იქნა ან გადაეცა კომპანიას. იმ შემთხვევაში, თუ მომდევნო წელს შეფასებული გაუფასურების ზარალის თანხა გაიზრდება ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარი შემთხვევის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი გაიზრდება ან შემცირდება შეფასებული რეზერვის ანგარიშის კორექტირების გზით. თუ ჩამოწერილი თანხები მოგვიანებით დაიფარება, დაფარვის თანხები აისახება ფინანსურ ხარჯებში მოგება- ზარალის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ მომავალი ჩამოწერა მოგვიანებით დაიფარება, ეს დაფარვა აისახება ფინანსურ ხარჯებში სრულ შემოსავალში.

Notes to the financial statements

In Georgian Lari

სს ლილო 1

ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები

ლარში

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) ფინანსური ინსტრუმენტები

(ii) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის, სესხებისა და კრედიტების, კრედიტორული დავალიანებების საფუძველზე, ან როგორც წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და კრედიტების და კრედიტორული დავალიანებების შემთხვევაში, უშუალოდ დაკავშირებული გარიგების ხარჯების გარეშე.

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება 2016 და 2017 წლის 31 დეკემბერს კლასიფიცირებულია სესხებად და კრედიტებად და მოიცავს პროცენტთან სესხებს და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს.

.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარება შეწყდება, როდესაც ვალდებულება შესრულდება ან გაუქმდება ან ვადა ამოწურება. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება შეიცვლება სხვა ვალდებულებით იმავე გამსესხებლისგან არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად შეიცვლება, ასეთი ცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარებულია მოგება ზარალის ანგარიშგებაში. .

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და არსებობს ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

Notes to the financial statements

In Georgian Lari

სს ლილო 1

ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები

ლარში

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, აკუმულირებული ცვეთის და/ან გაუფასურებით გამოწვეული აკუმულირებული ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თავდაპირველი ღირებულება მოიცავს ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების ობიექტების შესყიდვასთან. საკუთარი ძალებით აშენებული აქტივების ღირებულება მოიცავს მასალების და პირდაპირ შრომით ხარჯებს, ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან და ობიექტის დემონტაჟის და გატანის და იმ ადგილის აღდგენის ხარჯებს, სადაც ასეთი ობიექტებია განთავსებული.

როდესაც ძირითადი საშუალებების ობიექტი შედგება სხვადასხვა სასარგებლო გამოყენების ვადების მქონე კომპონენტებისგან, თითოეული მათგანი აღირიცხება ძირითადი საშუალებების ცალკე ობიექტად (მნიშვნელოვანი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების ობიექტის და თავდაპირველად აღიარებული მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება გასხვისების შემდეგ ან როდესაც არანაირი მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით.

(ii) შემდგომი ხარჯები

ძირითადი საშუალებების ობიექტის კომპონენტის შეცვლის ხარჯი აღიარებულია ობიექტის საბალანსო ღირებულებაში თუ არსებობს ალბათობა, რომ მოცემული კომპონენტიდან მომავალ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კომპანია და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშალებების ყოველდღიური მომსახურების ხარჯები აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(iii) ცვეთა

ცვეთის აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, ძირითადი საშუალებების ობიექტის თითოეული კომპონენტის სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასების საფუძველზე, ვინაიდან აღნიშნული ყველაზე უკეთ ასახავს აქტივით გათვალისწინებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის ხარჯვის მოსალოდნელ ნიმუშს.

ინდივიდუალური აქტივების მნიშვნელოვანი კომპონენტები შეფასებულია და თუ კომპონენტის სასარგებლო გამოყენების ვადა განსხვავდება ამ აქტივის დანარჩენი ნაწილის ვადისგან, ამ კომპონენტის ცვეთა ხდება ცალკე. მიწა არ ექვემდებარება ცვეთას.

JSC LILO 1

Notes to the financial statements

In Georgian Lari

სს ლილო 1

ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები

ლარში

სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება მიმდინარე და შედარებითი პერიოდების განმავლობაში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

შენობები	20 წელი
მშენებლობები	20 წელი
მანქანა-დანადგარები	12 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
ოფისის მოწყობილობა	1-5 წელი

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო გამოყენების ვადა და ნარჩენი ღირებულებები განიხილება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და შესწორდება შესაბამისად.

(ე) სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანია აფასებს ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით თითოეულ ბალანსის შედგენის დღეს.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე; ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულების ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს კომპანიისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებს.

Notes to the financial statements

In Georgian Lari

სს ლილო 1

ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები

ლარი

კომპანია იყენებს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემების საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას.

- ▶ დონე 1 - კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე) აქტიურ ბაზარზე იედნტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის;
- ▶ დონე 2 - შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვით შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის მნიშვნელოვანი ყველაზე დაბალი დონის მონაცემების პირდაპირ ან არაპირდაპირ განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 - შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვით შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის მნიშვნელოვანი ყველაზე დაბალი დონის მონაცემების განსაზღვრა.

პერიოდულ საფუძველზე ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებით, ჯგუფი განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

(f) მარაგები

მარაგები წარმოდგენილია მის ღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და ითვალისწინებს მარაგების შეძენასთან, წარმოებასა და კონვერსიასთან, აგრეთვე მათ არსებულ ადგილზე და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას გასაყიდ ფასს გამოკლებული შეფასებული დასრულების ღირებულება და რეალიზაციის ხარჯები.

(ზ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულების გადაიხედება თითოეულ საანგარიშო დღეს გაუფასურების ნებისმიერი ნიშნის არსებობის დადგენის მიზნით. ასეთი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ხორციელდება აქტივის ჩანაცვლების ღირებულების შეფასება. გაუფასურების შედეგად მიყენებული ზარალის აღიარება ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის

Notes to the financial statements

In Georgian Lari

საბალანსო ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის (CGU) ღირებულება აღემატება მის შეფასებულ ჩანაცვლების ღირებულებას.

აქტივების ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის (CGU) ჩანაცვლების ღირებულება აღემატება მის გამოყენების ღირებულებას და სამართლიან ღირებულებას სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით. გამოყენების ღირებულების შეფასებისას ხორციელდება შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულისთვის (CGU) დამახასიათებელ რისკებს. გაუფასურებაზე შემოწმების მიზნით, ის აქტივები, რომელთა ინდივიდუალური შემოწმება შეუძლებელია, ჯგუფდება ერთად აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რომელიც წარმოქმნის ახდენს ფულად შემოსავლებს უწყვეტი გამოყენებისგან, რაც არ არის დამოკიდებული სხვა აქტივების ან აქტივების ჯგუფის ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის (CGU) ფულად შემოსავლებზე.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას, სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, გათვალისწინებულია ბოლო საბაზრო გარიგებები. თუ შეუძლებელია ასეთი გარიგებების დადგენა გამოიყენება შესაბამისი შეფასების მოდელი.

CGU დაკავშირებით აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება CGU-ში აქტივების საბალანსო ღირებულების შემცირების მიზნით პროპორციულ საფუძველზე. გაუფასურების ზარალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. შეფასება კეთდება თითოეულ ანგარიშგების თარიღისთვის იმის გამოვლენის მიზნით არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობს ან შემცირდა. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის ჩანაცვლების ღირებულებას. მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის შებრუნება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცვლილებები განხორციელდა ვარაუდებში, რომლებიც გამოყენებულ იქნა აქტივის აღდგენითი ღირებულების განსაზღვრისთვის ბოლო გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ. შებრუნება ხორციელდება იმ მოცულობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა თუ გაუფასურების ზარალი არ იქნებოდა აღიარებული ამ აქტივისთვის წინა წლებში. ასეთი შებრუნება აღიარებულია გაუფასურების შებრუნებად, თუ აქტივი არ აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რომელ შემთხვევაშიც შებრუნება ითვლება გადაფასების ზრდად.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურების ზარალი, მათ შორის მარაგების გაუფასურება, აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯების კატეგორიაში გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამისად.

(თ) გადასახადები**(i) მიმდინარე მოგების გადასახადი**

ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა, საწარმოების მიერ გამოძეგნილი წლიური მოგება საქართველოში არ იხვევება 2017 წლის 1 იანვრიდან (შენიშვნა 11). დივიდენდებზე მოგების გადასახადით დაიხვევება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირების ან არარეზიდენტები საქართველოში წმინდა განაწილების 15/85 განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი ორგანიზაციის მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც ვალდებულება და ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში. კონკრეტულ გარემოებებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომელიც აღირიცხება შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო კანონის თავისებურებიდან

Notes to the financial statements

In Georgian Lari

გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის აქციონერებისათვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, გარიგებები არასაბაზრო ფასად, ხარჯები, რომელიც არ არის დაკავშირებული ბიზნესთან და საქონლის და მომსახურებების მიწოდება უფასოდ) ასეთი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აისახება როგორც მოგების გადასახადის (ხარჯი) /სარგებელი.

(iii) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლები, ხარჯები და აქტივები აღიარებულია დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ:

- დამატებული ღირებულების გადასახადი აქტივების ან მოსახურებების შესყიდვაზე, არ ექვემდებარება დავრუნებას საგადასახადო ორგანოებიდან, რომელ შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადი აღიარებულია აქტივის შეძენის ღირებულების ნაწილად ან ხარჯის კომპონენტის ნაწილად.
- დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები მითითებულია დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით.

საგადასახადო ორგანოსთვის გადასახდელი ან ამ ორგანოებისგან დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა თანხა ასახულია როგორც დღე აქტივი ან ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

Notes to the financial statements

*In Georgian Lari***(i) ფული და ფულის ექვივალენტები**

ფული და ფულის ექვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს ფულად სახსრებს ბანკებში.

(ii) რეზერვები

რეზერვის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ წარსულში მომხდარი შემთხვევის გამო, კომპანიას გააჩნია სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, და ასევე არსებობს ალბათობა, რომ მოხდება ეკონომიკურ სარგებელთან დაკავშირებული სახსრების გადინება აღნიშნული ვალდებულების დაფარვის მიზნით და შესაძლებელი იქნება ვალდებულების მოცულობის სათანადო შეფასება, ნებისმიერ რეზერვთან დაკავშირებული ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

თუ ფულის დროითი ღირებულების ეფექტი მნიშვნელოვანია, რეზერვები დისკონტირდება დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ვალდებულების კონკრეტულ რისკებს. დისკონტირების გამოყენებისას დროთა განმავლობაში გამოწვეული რეზერვის ზრდა აღიარებულია ფინანსურ ხარჯად.

(i) სასესხო სახსრები

სასესხო სახსრები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება მშენებარე კვალიფიციური აქტივის შეძენას, მშენებლობას ან წარმოებას, კაპიტალიზებულია და ემატება საპროექტო ხარჯს მშენებლობის პროცესში იმ დრომდე, სანამ აქტივები არსებითად მზად არ აჩაითვლება მიზნობრივი გამოყენებისთვის, ე.ი. კომერციული წარმოებისთვის. კაპიტალიზაციის დაწყების თარიღი არის დღე, როდესაც დაკმაყოფილდება ყველა შემდეგი კრიტერიუმი: i) კომპანია გაწევს ხარჯებს აქტივზე; ii) კომპანია გაწევს სასესხო ხარჯებს და iii) კომპანია მიიღებს სათანადო ზომებს, რათა მოაშალოს აქტივი მიზნობრივი გამოყენებისთვის..

თუ სახსრები ნასესხებია კონკრეტულად პროექტის დასაფინანსებლად, კაპიტალიზებული თანხა წარმოადგენს ფაქტობრივად გაწეულ სასესხო ხარჯებს. თუ მოკლე ვადაში ხელმისაწვდომი იქნება დამატებითი/ჭარბი სახსრები პროექტის დასაფინანსებლად ნასესხები სახსრებიდან, ასევე მოხდება ასეთი თანხების დროებითი ინვესტირებით მიღებული შემოსავლის კაპიტალიზაცია და დაქვითვა საერთო კაპიტალიზებული სასესხო ხარჯებიდან. თუ პროექტის დასაფინანსებლად გამოყენებული სახსრები შეადგენს საერთო სასესხო სახსრების ნაწილს, კაპიტალიზებული თანხა გამოითვლება წლის განმავლობაში კომპანიის საერთო სასესხო სახსრებზე მოქმედი განაკვეთების შეწონილი საშუალოს გამოყენებით. ყველა სხვა სასესხო ხარჯი აღიარებულია მოგება ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც ისინი წარმოიშვა ეფექტური საპროექტო განაკვეთის გამოყენებით.

სასესხო სახსრები, რომელიც მოიცავს გარდაუვალ ხარჯებს, რომელიც არ არის დაკავშირებული სამშენებლო პროექტების დაფინანსების შეთანხმებებთან, და აქედან გამომდინარე პირდაპირ არ არის დაკავშირებული აღნიშნული აქტივების მშენებლობასთან, აისახება წარმოქმნის პერიოდში. სასესხო ხარჯები წარმოიქმნება მაშინ, როდესაც სახსრები ჩამოიწერება კომპანიის დაფინანსების ინსტრუმენტებით, რომელიც აღემატება დაფინანსებისთვის განსაზღვრული პროექტების მოკლევადიან ფულადი სახსრების მოთხოვნებს და სახსრები ჩამოიწერება ნებისმიერი საკონტარქტო ვალდებულების წარმოშობამდე.

Notes to the financial statements

In Georgian Lari

(l) შემოსავალი

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმ მოცულობით, რომლითაც არსებობს ეკონომიკური სარგებელის მოტანის ალბათობა კომპანიისთვის და შესაძლებელი იქნება შემოსავლის სათანადო შეფასება, გადახდის დროის მიუხედავად. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდების კონტრაქტით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადების და მოსაკრებლების გამოკლებით.

(k) სტანდარტები, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

გამოცემული სტანდარტები და ინტერპრეტაციები რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ არ შესულა ძალაში კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების წარდგენის თარიღამდე, მითითებულია ქვემოთ. კომპანია აპირებს მიიღოს ეს სტანდარტები თუ ეს შესაძლებელია, როცა ისინი ძალაში შევა.

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

2014 წლის ივლისში, ფასს-მა გამოსცა ფასს 9-ის ფინანსური ინსტრუმენტები – საბოლოო ვარიანტი, რომელმაც შეცვალა ბას 39-ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება და ფასს 9-ის ყველა აღრიცხვის ვერსია. ფასს 9 აერთიანებს ფინანსური ინსტრუმენტების პროექტთან დაკავშირებით აღრიცხვის ყველა სამივე ასპექტს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა. ფასს 9 ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდისთვის, ვადაზე ადრე გამოყენება დასაშვებია. გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, რეტროსპექტული გამოყენება საჭიროა, მაგრამ შესაძარისი ინფორმაციის მიწოდება არ არის სავალდებულო. ჰეჯირების აღრიცხვისთვის მოთხოვნები ზოგადად გამოიყენება პერსპექტივის გათვალისწინებით, გარკვეული შეზღუდული გამონაკლისებით.

ფასს 15 შემოსავლები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15 გამოიცა 2014 წლის მაისში და განსაზღვრავს ხუთ ეტაპიან მოდელს იმ შემოსავლის აღრიცხვისთვის, რომელიც წარმოიქმნა კლიენტებთან კონტრაქტების შედეგად. ფასს 15-ის შესაბამისად, შემოსავალი აღიარებულია იმ მოცულობით, რომელიც ასახავს თანხას, რომელსაც ორგანიზაცია მოელის რომ მიიღებს კლიენტისთვის საქონლის გადაცემისა და მომსახურებების გაწევის სანაცვლოდ.

2018 წლის 1 იანვარს დაწყებული ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდისთვის საჭიროა სრული რეტროსპექტული გამოყენება ან მოდიფიცირებული რეტროსპექტივის გამოყენება. დაშვებულია ვადამდე მიღება. კომპანია გეგმავს ახალი სტანდარტების მიღებას ძალაში შესვლის თარიღისთვის სრული რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით. კომპანია არ ელის მნიშვნელოვან ზემოქმედებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე და კაპიტალზე ფასს 15-ის მიღების შემდეგ.

ფასს 16 იჯარები

ფასს 16 გამოშვებული იქნა 2016 წლის იანვარში, და მან შეცვალა: ბას 17-იჯარები, ფასს 4 განსაზღვრა – მოიცავს თუ არა ეს შეთანხმება იჯარას, SIC 15 საოპერაციო იჯარები-სტიმულირების ღონისძიებები და SIC-27 ოპერაციის არსის შეფასება, რომელიც მოიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. ფასს 16-ში განსაზღვრულია აღიარების, შეფასების, პრეზენტაციის და იჯარების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის პრინციპები და მოითხოვს მოიჯარეებისგან, რომ ბალანსის შემდგომი ერთი მოდელის შესაბამისად ყველა იჯარა ბას 17-ის შესაბამისად ფინანსური იჯარის აღრიცხვის მსგავსი იყოს. ეს სტანდარტი მოიცავს ორ აღიარებულ გამონაკლისს მოიჯარეებთან დაკავშირებით - "დაბალ-ღირებულებიანი აქტივის იჯარები" (მაგ. პერსონალური

Notes to the financial statements

In Georgian Lari

კომპიუტერები) და მოკლევადიანი იჯარები (ე.ი. იჯარები 12 თვიანი ან ნაკლები ვადით) და იჯარის დაწყების ვალდებულება, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას გადაიხადოს საიჯარო გადასახდელები (ე.ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივი, რომელიც წარმოადგენს უფლებას გამოყენებული იყოს განსაზღვრული აქტივი იჯარის ვადაში (ე.ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებული არიან ცალკე აღიარონ საპროცენტო დანახარჯი იჯარის ვალდებულებაზე და ცვეთის დანახარჯი აქტივის გამოყენების უფლებაზე.

მოიჯარეები ასევე ვალდებული არიან გადააფასონ იჯარის ვალდებულება გარკვეული მოვლენების წარმოქმნის შემდეგ (მაგ. ცვლილება იჯარის ვადაში, ცვლილება მომავალ საიჯარო გადახდებში, რომელიც გამოწვეულია ინდექსში და ამ გადახდების განსაზღვრაში გამოყენებულ განაკვეთში ცვლილებებით). მოიჯარე ზოგადად აღიარებს იჯარის ვალდებულების გადაფასების თანხას აქტივის გამოყენების უფლების მქონე აქტივის კორექტორების სახით.

ფასს 16 –ის შესაბამისად მეიჯარის საბუღალტრო აღრიცხვა არსებითად არ განსხვავდება ბას 17-ის შესაბამისად განხორციელებული დღევანდელი საბუღალტრო აღრიცხვისგან. მეიჯარეები გააგრძელებენ ყველა იჯარის კლასიფიკაციას იმავე კლასიფიკაციის პრინციპის გამოყენებით, რომელსაც იყენებს ბას-17 და განასხვავებენ იჯარის ტიპებს: საოპერაციო და ფინანსური იჯარა.

ფასს 16 ასევე მოითხოვს მოიჯარეებისგან და მეიჯარეებისგან უფრო ფართოდ წარმოადგინონ ინფორმაცია, ვიდრე ეს ხდებოდა ბას-17-ის შესაბამისად. ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდიდან ან შემდეგ. დასაშვებია უფრო ადრე გამოყენება, მაგრამ სანამ რომელიმე ორგანიზაცია გამოიყენებს ფასს 15-ს. მოიჯარეს შეუძლია აირჩიოს სტანდარტის გამოყენება სრული რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით. სტანდარტის გადაცემის დებულებები უშვებს გარკვეულ შეღავათებს.

5. შეფასების, ვარაუდების და დაშვებების გამოყენება

კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს შეფასების, ვარაუდების და დაშვებების გაკეთებას ხელმძღვანელობის მხრიდან, რომელიც გავლენას ახდენს შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე და პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაციაზე ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. თუმცა, გაურკვევლობამ აღნიშნულ ვარაუდებთან და შეფასებებთან დაკავშირებით, შესაძლოა გამოიწვიოს შედეგები, რომელიც მოითხოვს არსებით კორექტირებებს მომავალ პერიოდებში ზემოქმედებული აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულებაში.

JSC LILO 1

Notes to the financial statements

In Georgian Lari

6. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენიშვნები და მშენებლობები	ოფისის მოწყობილობა	სატრ. საშუალებები	დანდაგრები	ადგილობრივი ქსელი	სულ
ხარჯი							
2015 წლის 31 დეკემბერს	14 565 670	26 307 436	526 039	99 052	1 907 407	351 304	43 756 907
დანარიცხები		183 563	13 513		23 195	2 683	222 954
გასხვისებები			-1 243	-79 530			-80 774
2016 წლის 31 დეკემბერს	14 565 670	26 490 999	538 309	19 521	1 930 602	353 987	43 899 088
დანარიცხები	2 000	224 011	10 023		4 893	38	240 966
გასხვისებები			-17 999		-849		-18 847
2017 წლის 31 დეკემბერს	14 567 670	26 715 010	530 333	19 521	1 934 647	354 025	44 121 206
დარიცხული ცვეთა							
2015 წლის 31 დეკემბერს		-9 515 503	-466 533	-71 003	-1 025 773	-238 455	-11 317 267
Depreciation for the year		-1 371 358	-11 710	-14 423	-176 003	-29 343	-1 602 837
გასხვისებები				76 219			76 219
2016 წლის 31 დეკემბერს		-10 886 861	-478 243	-9 208	-1 201 776	-267 798	-12 843 885
ცვეთა წლის განმავლობაში		-1 314 761	-4 879	-15 198	-195 035	-29 474	-1 559 348
გასხვისებები			22 815		793		23 608
2017 წლის 31 დეკემბერს		-12 201 622	-460 308	-24 406	-1 396 018	-297 272	-14 379 626
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2015 წლის 31 დეკემბერს	14 565 670	16 791 933	59 506	28 048	881 634	112 849	32 439 640
2016 წლის 31 დეკემბერს	14 565 670	15 604 138	60 066	10 314	728 826	86 189	31 055 202
2017 წლის 31 დეკემბერს	14 567 670	14 513 388	70 026	-4 885	538 629	56 753	29 741 581

7. ფული და ფულის ექვივალენტები

	2017	2016
მცირე ხარჯები	9 266	3 173
ფულადი სახსრები ბანკში	580 398	7 238
	589 664	10 412

8. კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალი შეადგენს 15,777 ნებადართულ და გამოშვებულ ჩვეულებრივ აქციებს, თითოეულის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1000 ლარს და თანაბარი ხმის უფლებებს.

კომპანიის ნებადართული და გამოშვებული აქციების რაოდენობა მოცემულია ქვემოთ:

	2017	2016
1 Linnaeus Capital Partners B.V.	15,777,000	15,777,000
	15,777,000	15,777,000

9. პროცენტური სესხები

	2017	2016
პროცენტური სესხების და კრედიტების მიმდინარე ნაწილი	4 929	59 697
პროცენტური სესხების და კრედიტების არამიმდინარე ნაწილი	14 258 908	15 807 904
სულ პროცენტური სესხები და კრედიტები	14 263 837	15 867 601

10. სხვა ხარჯები

	2017	2016
პროფესიული მომსახურებები	-141 964	-194 873
დაცვის ხარჯები	-159 322	-177 966
იჯარა	-25 847	-25 424
მივლინებები		-7 691
კომუნიკაცია	-21 039	-20 706
დაზღვევა	-14 982	-14 220
წარმომადგენლობითი ხარჯები	-3 294	
საწვავი	-13 099	-6 199
ტექნიკური მომსახურება	-68 599	-47 213
საბანკო საკომისიო	-3 108	-1 603
სხვა	-65 280	-67 937
	-516 535	-563 831

11. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის შეფასება

მიმოხილვა

კომპანიის მთავარი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს პროცენტიან კრედიტებსა და სესხებს, სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებს. ამ ფინანსური ვალდებულებების მთავარი მიზანია კომპანიის კაპიტალის და საოპერაციო ხარჯების დაფინანსება. კომპანიას გააჩნია ფულადი სახსრები მიმდინარე ანგარიშებზე პროცენტიანი სესხების ფორმით ნასესხები სახსრებიდან.

ჯგუფს აქვს საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკი. .

ფინანსური რისკის მართვა, კომპანიის ხელმძღვანელობის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების დაცვა, ოპერაციებიდან საკმარისი ფულადი სახსრების მოზიდვა საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალის დანახარჯების და მომსახურების ვალდებულებების დასაფინანსებლად მესამე მხარეებისთვის.

(ა) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიაღდება. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს თავისი ფინანსური საქმიანობებიდან, მათ შორის ბანკებში და ფინანსურ დაწესებულებებში არსებული დეპოზიტებიდან.

კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი მხოლოდ ფულის და ფულის ექვივალენტების (ფულადი სახსრები ბანკში) და დებიტორული დავალიანებების მოცულობით.

(ბ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, როდესაც კომპანიას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების შესრულებისას, რომელთა ანგარიშსწორებაც ხდება ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდებით. კომპანიის მიდგომა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით გამოიხატება იმ ფაქტის შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფაში, რომ მას ყოველთვის ექნება საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების შესასრულებლად მათი დაფარვის ვადის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე სტრესულ სიტუაციებში, მიუღებელი ზარალისა თუ ჯგუფის რეპუტაციის შეზღავნის რისკის გარეშე.

(გ) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკის იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება იცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების შედეგად. საბაზრო რისკი მოიცავს ორი ტიპის რისკს: საპროცენტო განაკვეთის რისკი და სავალუტო რისკი. საბაზრო რისკის ქვეშ მოქცეული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს საპროცენტო სესხებს, სხვა კრედიტორულ დავალიანებებს და ფულად სახსრებს ბანკში.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება იცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების შედეგად. კომპანიის დაქვემდებარება გაცვლითი კურსების ცვლილებების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება კომპანიის საოპერაციო საქმიანობებს (როდესაც შემოსავალი ან ხარჯი დენომინირებულია კომპანიის ფუნქციური ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში) და კომპანიის ფინანსური ვალდებულებები დენომინირებულია უცხოურ ვალუტებში.

მგრძნობელობის ანალიზი მომზადებულია იმ საფუძველზე, რომ უცხოურ ვალუტებში ფინანსური

ინსტრუმენტების პროპორციული მაჩვენებელი, არის მუდმივი.

კომპანია არ იყენებს ჰეჯირების სავალუტო რისკის მიმართ.

.

წლის განმავლობაში გამოიყენება შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსი:

	საშუალო განაკვეთი წლის განმავლობაში		სპოტ-კურსი 31 დეკემბერს	
	2017	2016	2017	2016
ლარი/აშშ დოლარი	2.5086	2.3667	2.5922	2.6468

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის კომპანიის ფინანსური მდგომარეობის რისკი საპროცენტო განაკვეთებში უარყოფითი დინამიკისა, რომელიც გამოიხატება პროცენტის ზრდით მოზიდულ სახსრებთან მიმართებით ან კლებით განაწილებული სახსრებიდან მიღებულ შემოსავალში.

12. სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასებების მიზანია იმ თანხის მიახლოება, რომელზეც ფინანსური ინსტრუმენტი შეიძლება გადაიხადოს მოსურნე მხარეებს შორის კომერციული გარიგების საფუძველზე. თუმცა მოცემული გარემოებების და სუბიექტური შეფასების გამოყენების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნას განმარტებული როგორც რეალზიებადი აქტივების უშუალო გაყიდვის ან ვალდებულებების დაფარვის პროცესში.

კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება (პროცენტის სესხების გარდა) არის მოკლევადიანი და აქედან გამომდინარე საბალანსო ღირებულებები უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

პროცენტის სესხების სამართლიანი ღირებულება ასევე უახლოვდება საბალანსო ღირებულებას, რადგან სესხების საპროცენტო განაკვეთები შედის მსგავსი ფინანსური შეთანხმებებისთვის, ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთების ფარგლებში.

13. დაკავშირებული მხარეების გარიგებები

	2017		2016	
	მხარეები მნიშვნელოვანი გავლენით საწარმოზე		მხარეები მნიშვნელოვანი გავლენით საწარმოზე	
	უმადლესი ხელმძღვანელობა		უმადლესი ხელმძღვანელობა	
პროცენტის სესხები	10 260 664		11 800 186	
გადასახდელი პროცენტები	5 870 732		5 059 365	
ხელფასები და მოკლევადიანი სხვა სარგებელი		1 620 125		1 620
(იხილეთ პარაგრაფი 14 14)				

125

კომპანიის უმადლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

2017 წლის განმავლობაში ანგარიშების პერიოდში ხარჯებდა აღიარებული თანხები უმადლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, შეადგენდა 290,448 ლარს (2016 - 290,727).

14. პირობითი ვალდებულებები

- (ა) კომპანიას აქვს ღია დავა ყოფილ დირექტორთან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე. პირობითი თანხა შეადგენს 625 000 აშშ დოლარს.
- (ბ) კომპანიას აქვს მიმდინარე დავები შემოსავლების სასმსახურთან, რომლის ჯამური თანხა შეადგენს 30 000 ლარს, რომლის ვადა უცნობია.
- (გ) კომპანიას აქვს ღია დავა დურმიშხან ღვინიანიძესთან, რომლის თანხა შეადგენს 17 433 ლარს..